

**LTE 4.5 G უსადენო ინტერნეტ მომსახურების სააბონენტო ხელშეკრულების
სატარიფო დანართი**

აბონენტის გვარი, სახელი _____

დაბადების თარიღი _____ პირადი N _____

რეგისტრაციის მისამართი _____

ფაქტიური მისამართი _____

ელ.ფოსტა/საკონტაქტო ნომერი/მობილური _____

ინტერნეტ-პაკეტი	პაკეტი 1	Brobnze	Silver	Platinum
პაკეტის ღირებულება	25	20	28	38
მოცულობა	40 გბ	60 გბ	80 გბ	100 გბ

SIM ბარათზე გაწერილი სატელეფონო ნომერი _____

პირადი ანგარიშის ნომერი _____

აბონენტის პერსონალური კოდი _____

1. აბონენტი ადასტურებს, რომ მას გადაეცა სააბონენტო ხელშეკრულება და დანართი N1 - „სატარიფო გეგმა“, რომელიც წარმოადგენს სააბონენტო ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს (ნიმუშები განთავსებულია „კომპანიის“ ვებ-გვერდზე: WWW.SILKNET.COM)
2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს უვადოდ. მხარეთა მიერ მის შეწყვეტამდე.
3. აბონენტისთვის მოწყობილობების გადაცემა (აქტივირებული SIM ბარათით) ხდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
4. ძირითადი და დამატებითი მომსახურების სახეების, ტარიფების, პირობების, მომსახურების შეზღუდვის/აღდგენის/შეწყვეტის და სხვა პირობების შესახებ ინფორმაციას აბონენტი დამატებით შეიძლება გაეცნოს ვებ-გვერდზე: WWW.SILKNET.COM ან/და სატელეფონო ცხელ ხაზზე: 2 100 100.

/თარიღი/ _____

თუ წინამდებარე ხელშეკრულებას „აბონენტის“ მაგივრად ხელს აწერს აღნიშნულ მისამართზე მყოფი სხვა პირი, ნიშნავს, რომ ამ პირს გააჩნია სრული უფლებამოსილება „აბონენტისაგან“ ამ ხელშეკრულების ხელმოწერაზე. აღნიშნულ შემთხვევაში, მიეთითება ამ პირის: სახელი და გვარი _____ პირადი # _____

ხელშეკრულების ამ გვერდზე აღნიშნული ყველა ველი საავალდებულო შესავსებად

დანართი 1. სატარიფო გეგმა და განსაკუთრებული პირობები

1. სატარიფო გეგმა (ფასები მოცემულია ლარში და მოიცავს დღგ-ს)

პაკეტი / მომსახურება				
ინტერნეტ პაკეტის დასახელება	LTE 40 GB	Bronze	Silver	Platinum
ფასი	25 ლარი	20 ლარი	28 ლარი	38 ლარი
მოცულობა	40 გბ	60 გბ	80 გბ	100 გბ
ტარიფი პაკეტის მოცულობის შემდეგ (ავანსის არსებობისას), პაკეტის მოქმედების ვადის ამოწურვამდე - 1 მზ	0,01 ლარი	-	-	-
პაკეტის მოქმედების ვადა	30 დღე	30 დღე	30 დღე	30 დღე
დაყოფენობა (მილიწამი)	<400	<400	<400	<400
მომსახურების აქტივაცია				
ინტერნეტ პაკეტის აქტივაცია ხდება SIM ბარათის გააქტიურებისას; აბონენტს LTE 4.5G მხარდაჭერის მქონე უსადენო ინტერნეტ მოდემთან ერთად გადაეცემა SIM ბარათი	აქტივაციის ღირებულება გათვალისწინებულია სააბონენტო გადასახდელში			
მოწყობილობის ღირებულება				
LTE 4.5G მხარდაჭერის მქონე უსადენო მოდემი აბონენტს გადაეცემა დროებით სარგებლობაში. LTE 4.5G მხარდაჭერის მქონე უსადენო მოდემის ღირებულება, რომელიც აბონენტს დაერიცხება მისი დაზიანებისას, განადგურებისას ან მომსახურების / ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მისი დაუბრუნებლობისას	99 ლარი			

2. LTE 4.5 G უსადენო ინტერნეტ მომსახურების ღირებულების გადახდის, მომსახურების შეზღუდვის, შეწყვეტის და აღდგენის პირობები:

- 2.1. მომსახურების საფასურის გადახდა წარმოებს **საავანსო გადახდის სისტემით**.
- 2.2. პაკეტის მოქმედების ვადა - გააქტიურებიდან **30 (ოცდაათი) დღე**.
- 2.2. პაკეტის მოქმედების ვადის ამოწურვამდე სააბონენტო ანგარიშზე უნდა ფიქსირდებოდეს დადებითი ბალანსი არანაკლებ **კონკრეტული პაკეტის შესაბამისი ღირებულების ოდენობისა**.
- 2.4. აბონენტის მიერ თანხა გადახდილად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ჩაირიცხება/აისახება კომპანიის საბანკო ანგარიშზე.
- 2.5. პაკეტის ავტომატურად გაგრძელების მომენტისთვის, ანგარიშზე არასაკმარისი თანხის არსებობისას, ახალი პაკეტი ვერ განახლდება.
- 2.6. ნომერზე თანხის ბოლო ჩარიცხვიდან 150 დღის განმავლობაში თანხის არჩარიცხვის შემთხვევაში, ხოლო 150-ე დღეს აბონენტს დაერიცხება მის დროებით სარგებლობაში გადაცემული LTE 4.5G მხარდაჭერის მქონე უსადენო მოდემის სარეალიზაციო ღირებულება, 151-ე დღეს მოხდება მომსახურების / ხელშეკრულების შეწყვეტა.

3. პაკეტი "LTE 40 GB" (2020 წლის 15 ნოემბრამდე რეგისტრირებული LTE აბონენტებისთვის)

- 3.1. **ინტერნეტ პაკეტის მოცულობის გაზარდვის შემდეგ** (მაგრამ პაკეტის მოქმედების ვადის ამოწურვამდე), პაკეტის შემდგომ აქტივაციამდე ინტერნეტ მომსახურება იზღუდება (ავანსის არარსებობისას) ან აბონენტი ისარგებლებს ინტერნეტით შემდეგი ტარიფით: **1 მზ - 0.01 ლარი** (ავანსის არსებობისას); ამასთან სერვისის აქტივაციას იწვევს ნებისმიერი ოდენობის თანხის ანგარიშზე ჩარიცხვა.
- 3.2. სერვისის ჩართვისას, თუ ინტერნეტ პაკეტი უკვე არ არის გააქტიურებული - **პაკეტის პირველად გააქტიურებამდე**, ასევე **პაკეტის ვადის ამოწურვის შემდგომ** - მომდევნო პაკეტის გააქტიურებამდე, დადებითი ბალანსის (პაკეტის ღირებულებაზე ნაკლები) არსებობის შემთხვევაში, აბონენტი ისარგებლებს ინტერნეტით შემდეგი ტარიფით: **1 მზ - 0.70 ლარი**.
- 3.3. გააქტიურებული გაგრძელებადი პაკეტის მოქმედების პერიოდში, მათ შორის, პაკეტით განსაზღვრული ინტერნეტ მოცულობის ვადამდე ამოწურვისას, შეზღუდულია იმავე გაგრძელებადი პაკეტის გააქტიურების შესაძლებლობა.

4. პაკეტები: Bronze Silver Platinum

- 4.1. **პაკეტის მოქმედების ვადის ამოწურვისას** გაუქმდება გაუხარჯავი ინტერნეტ მოცულობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 4.2. **ინტერნეტ პაკეტის მოცულობის გაზარდვის შემდეგ /პაკეტის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ**, პაკეტის შემდგომ აქტივაციამდე ინტერნეტ მომსახურება იზღუდება.
- 4.3. ინტერნეტ პაკეტების მოცულობები არ ჯამდება. თითოეული პაკეტის ინტერნეტ მოცულობის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მისი მოქმედების ვადაში. ინტერნეტ მოცულობის გაზარდვის პრიორიტეტი აქვს იმ პაკეტს, რომლის ვადაც უფრო ადრე იწურება.
- 4.4. ავტომატურად გაგრძელების პირობა უნარჩუნდება ბოლოს გააქტიურებულ პაკეტს.
- 4.5. გააქტიურებული გაგრძელებადი პაკეტის მოქმედების პერიოდში, მათ შორის, პაკეტით განსაზღვრული ინტერნეტ მოცულობის ვადამდე ამოწურვისას, დასაშვებია იმავე ან სხვა გაგრძელებადი პაკეტის გააქტიურება.
- 4.6. წინამდებარე მომსახურებაზე სააბონენტო ხელშეკრულების გაფორმებამდე რეგისტრირებული /მოქმედი LTE 4G აბონენტები, რომელთაც ტექნოლოგიის ცილილების პერიოდში აქტიური ექნებათ პაკეტი, გადასახდელის გარეშე და ერთჯერადად მიიღებენ ანალოგიური მოცულობის პაკეტს. კერძოდ, ავტომატურად გაგრძელებადი 30 დღიანი ინტერნეტ პაკეტის პირველადი აქტივაცია ხდება გადასახდელის გარეშე. აბონენტს აღნიშნული პირობით უაქტიურდება ბოლო 30 დღის განმავლობაში აქტიური პაკეტის ოდენობის პაკეტი. მომდევნო პაკეტის აქტივაცია მოხდება წინა პაკეტის ვადის ამოწურვის შემდეგ, თუ ბალანსზე იქნება პაკეტის გასაქტიურებლად საკმარისი თანხა.
- 4.7. პირველი, გადასახდელის გარეშე გააქტიურებული პაკეტის, ვადის ამოწურვის შემდეგ, აბონენტს, რომელიც ამ პაკეტის მოქმედების ვადაში დამატებითი ფასიანი პაკეტს არ გაიაქტიურებს, ავტომატურად გაუგრძელებადი იდენტური მოცულობის ფასიანი პაკეტი, შესაბამისი დადებითი ბალანსის არსებობის შემთხვევაში. იმ

შემთხვევაში, თუ ბალანსზე პაკეტის გასააქტიურებლად საკმარისი თანხა არ იქნება, ახალი ფასიანი პაკეტი ტექნიკურად იქნება აქტიური, თუმცა გამოყენება არ იქნება შესაძლებელი, ვიდრე ბალანსი შესაბამისი თანხით არ შეივსება ან აბონენტი სხვა სახის პაკეტს არ ჩართავს.

4.8. დამატებითი პაკეტის აქტივაცია შესაძლებელია USSD არხის *217#, SMS ბრძანებისა და IVR-ის მეშვეობით. მიმდინარე სტატუსის შემოწმება - SMS ბრძანებისა და IVR-ის მეშვეობით.

4.9. USSD არხით პაკეტის დამატებისას პაკეტის საფასური აკლდება A ნომერს, ხოლო პაკეტი აქტიურდება B ნომერზე, რომელსაც აბონენტი USSD არხით მოთხოვნისას უთითებს.

4.10. SMS ბრძანებას აბონენტი აგზავნის წინასწარ განსაზღვრულ საკონტაქტო ნომრიდან მოკლე ნომერზე - 90060. აბონენტისთვის მოცემულ მოკლე ნომერზე გაგზავნილი SMS უფასოა. ბალანსის გასაგებად აბონენტმა მოკლე ნომერზე უნდა გაგზავნოს ბრძანება "BAL". პაკეტების აქტივაციის ბრძანებები მოცემულია **NI ცხრილში**.

4.11. წინასწარ დაფიქსირებული საკონტაქტო ნომრიდან 2100100-ზე დარეკვით, აბონენტს შეუძლია ავტომატურ რეჟიმში გაიაქტიუროს დამატებითი პაკეტი ან გაიგოს მიმდინარე ბალანსი.

4.12. ინტერნეტ პაკეტების გააქტიურების, ვადის გასვლის თუ სხვა სახის შეტყობინებები გაიგზავნება აბონენტის მიერ წინასწარ მითითებული საკონტაქტო ნომერზე.

5. უსადენო მოდემით სარგებლობის და სხვა დამატებითი პირობები

5.1. დროებით სარგებლობაში გადაცემული LTE 4.5G მხარდაჭერის მქონე უსადენო მოდემზე დასარიცხი სარეალიზაციო ღირებულების დარიცხვა (ასეთს საჭიროების შემთხვევაში) მოხდება აბონენტის პირად ანგარიშზე.

5.2. აბონენტს დავალიანების გამო მომსახურების შეწყვეტისას დარიცხული მოდემის სარეალიზაციო ღირებულების გადაანგარიშების პირობით უსადენო მოდემის დაბრუნება შეუძლია მომსახურების / ხელშეკრულების შეწყვეტიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში.

5.3. წინამდებარე ინტერნეტ მომსახურებისთვის მოდემში განთავსებულ SIM ბარათზე გააქტიურდება მხოლოდ უსადენო ინტერნეტ მომსახურების სატარიფო გეგმა და აღნიშნული SIM ბარათის გამოყენება შეუძლებელი იქნება სატელეფონო მომსახურებისთვის (შეზღუდული იქნება ხმოვანი / MMS/ გამავალი SMS სერვისები).

5.4. წინამდებარე ინტერნეტ მომსახურებაზე ვრცელდება თანდართული "სააბონენტო ხელშეკრულებით" განსაზღვრული პირობები, გარდა "სააბონენტო ხელშეკრულებით" განსაზღვრული სატელეფონო მომსახურების შესახებ პირობებისა. ამასთან, წინამდებარე "სატარიფო დანართისა" და "სააბონენტო ხელშეკრულების" პირობებს შორის (გადახდისა და სხვა პირობები) სხვაობისას, უპირატესობა ენიჭება წინამდებარე "სატარიფო დანართით" განსაზღვრულ პირობებს.

5.5. ინტერნეტ მოგულობა არ გაიზარდება შემდეგ საიტებზე შესვლისას ან/და აპლიკაციების გამოყენებისას:

- სილქნეტის სერვისები: სილქნეტის სელფქარის აპლიკაცია; სილქტივი გოლ და სილქის არხები, სილქსპორტის საიტი და არხები;
- <http://websurvey.geocell.ge/survey/interaction>; android.silkvtv.ge; ios.silkvtv.ge; silkvtv.ge
- სახელმწიფო საიტები: stopcov.ge, moh.gov.ge, ncdc.ge, mfa.gov.ge
- საკრედიტო/სადებეტო ბარათით გადახდის საიტები, სადაც ივსება ბარათის მონაცემები: [ufc](http://ufc.ge); [gebank](http://gebank.ge) და სხვა მსგავსი ტიპის საიტი

ცხრილი N1. პაკეტის შეძენის SMS ბრძანებების კოდები

პაკეტი	მოცულობა	პაკეტის შეძენის SMS ბრძანების კოდი (გზავნება მოკლე ნომერზე 90060)
Bonze	60 გბ	LTEBR60
Silver	80 გბ	LTESI80
Platinum	100 გბ	LTEPL100

სს "სილქნეტი" _____

აბონენტი _____